№ 229
სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 229
სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

23-ს ოქტომბერს გარდაიცვალა მე-77 ტენგინის რაზმის პოდპოლკოვნიკი

**ბესარიონ დავითის ძე გაბაშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ელენე ალექსანდრეს ასული გაბაშვილისა, დანი მისნი სოფიო დავითის ასული ტრიშატნისა, ანნა დავითის ასული გაბაშვილი და დისწულნი ალექსანდრე და კონსტანტინე დავითის ძე ჩხეიძენი.**

პანაშვიდი ყოველ დღე დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ. „კავკასის" სასტუმროდან წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულ იქმნება. (2—168—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ქ-ნ ნ. რჩეულისა** და **ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით** და **ქ-ნ კავთელის** სადებიუტოდ წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

## ლ ა ნ დ ი

დრამატიული ზღაპარი 5 მოქ. და 6 სურ, გერმანულიდამ ნათ. ბ-ნ ლაზარაშვილისაგან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მალალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—15)

## ე ქ ი მ ი
## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—61)

### მ ო წ ვ ე ვ ა

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა, რომ მიიღონ მონაწილეობა პარიზის მსოფლიო გამოფენაზედ 1900 წელს.

თუმცა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნია სავსეა ყოველ გვარის სიმდიდრით და ბუნების უხვებით და მრავლად იპოვნით ამ ქვეყნებში მადნეულობასაცა, სხვა და-სხვა მცენარეულობასა და ცხოველ-ბირუტყვსაცა, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებსაც, მაინც ზემოხსენებულის გუბერნიების მემამულენი დიდს გაჭირვებაში არიან, რადგან არ ესმისთ როგორ გამოიყენონ და მოიხმარონ სიმდიდრე და სიუხვე ბუნებისა.

რაკი საკმაო ფული და თანხა არ არის, რომლითაც ისე საჭიროა ბუნების სიმდიდრის მოსაპოვებლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაკარგებლად, აუარებელი უხვება ჩვენის ქვეყნისა დღემდე ამაოდ სძევს და უფრო ბევრი დარგი სასოფლო მეურნეობისა უოკლად დაცემულია და დავარდნილი.

## ფელეტონი

### ბ ა რ ბ ა რ ე

კომედია ერთ-მოქმედებად ჯერომ კ. ჯერომისა

**მ ო ქ მ ე დ ნ ი:**

**ბ ა რ ბ ა რ ე.** (შავს სადა კაბაშია, თმები უკან აქვს გადავარცხნილი).

**ლ ი ლ ი.** (ბარბარეზედ ახალგაზდაა, მდიდრულად არ არის ჩაცმული, მაგრამ კოპწიად-კი).

**ს ე ს ი ლ ი,** ლიტერატორი (მხიარული ტანთსაცმელი აცვია).

**ფ ი ნ ნ ი კ უ მ ი,** მოხუცებული სოფლის მკურნალი (შავი ტანისამოსი აცვია, ყელზედ ყელსახვევი სათბუნებელსავით აქვს შემოხვეული: პერანგის საყელო მაღალი აქვს. ფრთებიანი პალტო აცვია და ხელში ჯოხი და შლიაპა უჭირავს).

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროს ლონდონში.

ბარბარესა და ლილის სასტუმრო ოთახია, სუფთად და ლაზათიანად მოწყობილი. ბევრია იაფი, მაგრამ ოთახის მოსახდენი რაგინდარა. საზოგადოდ მთელი ოთახი იმდენად მოხდენილად უნდა იყოს მოწყობილი, რამდენადაც-კი ეს სიღარიბეს შეეფერება. პირდაპირ ორი კარია—მარჯვნივ და მარცხნივ. მარცხნივ ფანჯარაა, ფანჯარასთან ტახტი სდგას, სამუშაო მაგიდა და სკამი, სასადილო მაგიდა შუა ოთახშია, გვერდით სავარძელი უდგას. უკანა კედელთან საწიგნე მოსჩანს, იმის მარჯვნივ შკაფი ჩაის იარაღით, მარჯვნივ, ფანჯრის პირდაპირ, ბუხარია, ბუხარს ზემოდგან სარკე და ბუხართან ფეხის სკამი. ბუხარში ლითონის ყავადანი სდგას წყალის ასადუღებლად.

ფარდის ახდის დროს ბარბარე ტახტზედა ჰზის სამუშაო მაგიდასთან და ჰკერავს. იმის გარშემო მაგიდასა და ტახტზედ მიმობნეულია საკერავის კუთვნილებანი.

ბარბარე. ლილი! გოგო, შესაძაგელო, რას ზოზინობ მანდა?.. რას აკეთებ.

ლილი. თმას ვივარცხნი.

ბარბარე. ღმერთო!.. ნუ-თუ აქამდე ვერ მორჩი?..

ლილი. (მარჯვენა კარებიდგან გამოიხედავს თმებ-გაშლილი). არა, ბებია ჩემო, ჯერ არ მოვრჩენილვარ... ცოტა მოითმინეთ, ხუთს წუთს შემდეგ მზად ვიქნები! (მიიმალება)

ბარბარე. (მარტო) არ შემიძლიან მოთმენა... მომთმინეებს ყოველთვის ალოდინებენ ხოლმე... ლილი, ლილი!...

ლილი. (კულისებიდგან) რა იყო?.. (გამოჩნდება).

ბარბარე. ყავადანი დუღს.

ლილი. ახ, რა შემაშინე... (ბუხარს მიუახლოვდება) ფიქრადაც არ მოსვლია დუღილი... ოჰო-ჰო, რა ცრუ ხარ!.. არც-კი შიშინებს... რაკი აგრეა, ხუთს წუთს-კი არა, ათსაც დავიგვიანებ... (გადის).

ბარბარე. (მცირე ხანს ჩუმად არის) ლილი!...

ლილი. (კულისებიდგან) რაო, რა მოხდა?...

ბარბარე. ხომ არ იცი, სესილი თეთრს ქუდს იხურავს თუ არა?..

ლილი. (იქიდამვე) არ ვიცი... არასოდეს არ მინახავს თეთრის ქუდით... რა იყო? (სიჩუმე) რადა მკითხე?... რა არის, შეიძლება თეთრს ქუდსაც იხურავდეს.

ბარბარე. (ფანჯარაში იყურება) არა, არა, შეუძლებელია... საკვირვლად-კი ჰგავს!.. ახ, ნეტა ვიცოდე, იხურავს თუ არა თეთრს ქუდს?..

ლილი. (საჩქაროდ შემოირბენს და ბარბარეს ზურგს უკან მდგარი ფანჯარაში იხედება) სად არის?.. თეთრს ქუდს არსადა ვხედავ... (ლილის ისევ დაუწნავი აქვს თმა, ხელში სავარცხელი უჭირავს). სად დაინახე ქუდი?.. (წასვლას აპირებს).

ბარბარე. (სწრაფად მოტრიალდება და ხელში სწვდება). ქუდისა არა მითქვამს-რა... (იცინის).

ლილი. ოჰ, ბაბუცი!.. რა მატყუარა ხარ!.. ეგეც ყავადანი გახდა?.. ამას-კი არ მოველოდდი შენგან!..

ბარბარე მაშ ამას იქით ყველაფერს მოელოდდე ჩემგან!.. ჩამოჯექ აქა და ჰკვიანად იყავი... მე დაგივარცხნი თავს... მარტოდ ვერ გამიძლია... (დასვამს ლილის სკამზედ ტახტთან, თან თავს უვარცხნის და თან ჰლაპარაკობს). ამ საუცხოო თმების აკრეფის ნებას არ მოგცემ... მეტად კარგი თმები გაქვს და აფსუსია ამისი ცხენის ძუასავით დაგრეხვა... სესილს უფრო გაშლილი თმები მოსწონს...

ლილი. მე რა მესაქმება, სესილს რა მოსწონს და რა არა.

ბარბარე. ეგ რაღა ამბავიაო?..

ლილი. მე იმის მოწონებასთან არა მესაქმება-რა.

ბარბარე. ვითომ?..

ლილი. დიაღ, არა მესაქმება-რა!.. თუ ღმერთი გწამს, ნუ ამბობ „ვითომაო"... გულს მიბრაზებს!.. (სიჩუმეა). მე სესილთან სრულიად არა მესაქმება-რა და იმას ჩემთან!.. (სიჩუმეა). თუ ვცდები, რად გაჩუმებულა?.. (სიჩუმეა). რა დაგემართა, ბაბო, დამუნჯდი?... რატომ არას მეტყვი?.. ღმერთმანი, შენც ისე სულელდები, როგორიც ის არის..

ბარბარე. ეგ-კი არა მგონია ეგრე იყოს?..

ლილი, მაშ რატომ არ მომიჭრი სიტყვას?..

ბარბარე. როდის უნდა მომეჭრა სიტყვა: მაშინ, როდესაც სთქვა, რომ მე იმასთან საქმე არა მაქვს-რაო, თუ მაშინ,—იმას ჩემთან საქმე არა აქვს-რაო?..

ლილი. ყოველთვის!.. განსაკუთრებით-კი მაშინ, როდესაცა ვთქვი, ჩემთან არა ესაქმება-რა მეთქი... შენ შენ რა გგონია?.. აქვს რამე საქმე?.. (ბარბარე თავს გადაუწევს და სიცილით ჩაჰხედავს სახეში). თუ აქვს რამე საქმე, რატომ არას მეუბნება?.. სულელი!...

ბარბარე. ის „სულელი" რომ დარწმუნებული იყოს, რომ „პაწია ცელქი" ოდნავ მაინც სწყალობს, იქნება ეთქვა რამე...

ლილი. უნდა მიმიხვდეს, რომ ვწყა ლობ... ან განა ძნელია ამის

თითოეულს ჩვენს მემამულეს, რომელიც-კი ჰგრძნობს, რა გაჭირვებულ ყოფაშიცა ვართ დღეს ეკონომიურად, ის უნდა ენატრებოდეს, რომ რაც შეიძლება ბევრმა კაპიტალისტმა გაიგოს და შეიტყოს, რა ულეველი სიმდიდრეა ჩვენს ქვეყანაში; ის უნდა ენატრებოდეს, რომ მოვიზიდოთ ბლომად ფულის პატრონები და სამეცნიერო ცოდნით აღჭურვილნი კაცნი ჩვენის ქვეყნის სიმდიდრის გამოსაყენებლად და ჩვენის წარმოების გასაუმჯობესებლად.

ამ ნატვრის ასრულებისათვის ბევრგვარი ღონისძიება არსებობს და მათ შესახებ აქ ლაპარაკის გაგრძელება არ შეიძლება; მაგრამ უეჭველია, რომ ამ ღონისძიებათა შორის უნდა ჩაითვალოს პარიზში განზრახული მსოფლიო გამოფენაც; იქ, იმ გამოფენაზედ, შეგვიძლიან დაახლოვებით გავაცნოთ მსოფლიო ვაჭრობის დიდ-დიდნი წარმომადგენელნი როგორც ჩვენის ბუნების ულევლ სიმდიდრესა, ისე ჩვენის სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა ნაწარმოებს.

ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თუმცა ჩვენი სასოფლო მეურნეობის კულტურა და მრეწველობა პირვანდელ მდგომარეობაშია, მაინც ზოგიერთი იმისი დარგი, როგორც, მაგ., ღვინო, ხილეული, ხორბლეული, მატყლეული, აბრეშუმეული, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები და სხვანი და სხვანი, დღესაც მოცილეობას უწევენ მსოფლიო ბაზარზედ ევროპის ამგვარსავე ნაწარმოებს, რადგან თვითეული ეს დარგი მაღალის ღირსებისაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახარბიელო მოცილეობით სარგებლობენ არა თვით ჩვენი მემამულენი, არამედ ჩარჩი ვაჭრები, რომელნიც ჩალის ფასად ჰყიდულობენ ჩვენს ნაწარმოებსა და მეტის-მეტად ძვირად-კი ჰყიდიან ჩვენის ქვეყნის გარეშე.

მემამულეთ მხოლოდ ისა აქვთ აზრად, რომ ყოველ მხრივ გააცნონ წარმომადგენელნი კაპიტალისა და სატეხნიკო ცოდნისა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებსა; ამიტომ მიჰმართვენ მემამულეებს ზემოხსენებულ ორისავე გუბერნიისას, რათა დაეხმარნენ ამ აზრის განხორციელებისათვის მით, რომ მიიღონ მონაწილეობა პარიზის გამოფენაზედ.

პარიზის მსოფლიო გამოფენა დაიწყება 3 აპრილს 1900 წ. და გათავდება იმავე წლის 24 ოქტომბერს. ჩვენის ექსპონატების განყოფილების მოსაწყობად და მათ დასალაგებლად შესაფერ ადგილზედ იმათ ჩვენებით, რომელთაც მინდობილი ექნებათ 1900 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთის განაპირა ქვეყნების (მათ შორის კავკასიის) განყოფილების მოწყობა, ამორჩეულია კომიტეტი, რომელიც იკისრებს ყოველ გვარს შრომასა და ხარჯს, რაც-კი საჭირო იქმნება, რომ მიიღოს ექსპონატები და ქვემორე მოყვანილნი ცნობანი ამავე ექსპონატების შესახებ; აგრეთვე რომ გაგზავნოს ის ექსპონატები პარიზში, სადაც იქნება განსაკუთრებული წარმომადგენელი მემამულეებისა—ექსპონენტებისა, რომელსაც თავის დროზედვე მიეცემა ვექილობის ქაღალდი, რომ უფლება ჰქონდეს პატრობით შეეკრას ყველას, ვინც მოინდომებს ჩვენის ექსპონატების შეძენას, ან ვინც იკისრებს ჩვენის მადნეულობის წარმოებას. რათა უფრო კრცლად გაიცნონ კაპიტალის წარმომადგენლებმა სიმდიდრე ჩვენის ქვეყნისა, დადგენილია დაფუძნდეს პარიზში სამუდამო ბიურო, სადაც შეკრებილ იქნება ყოველ გვარი ცნობები ჩვენის ქვეყნის ნაწარმოებთა შესახებ.

სია ნაწარმოებთა და საგანთა, რომლების გაგზავნა პარიზის გამოფენაზედ 1900 წელს სასურველია.

ხვნა-თესვა: ხორბალი, ქერი, სიმინდი.

ზეთის გამოსახდელად ხმარებულნი მცენარეულობანი: ნიგოზი, სელი, შირბახტი, გენაგერჩაკი, ზეთის ხილი და ყოველ გვარი ზეთი, რომელიც იხდება ამ მცენარეთაგან.

მცენარენი, რომელნიც ძაფად იხვევა: ბამბა, რამი (ჩინეთის ჭინჭარი), კანაფი, სელი.

თამბაქო.

საღებრო და სამღებრო მცენარენი: სარქალანი და თუთუბო.

ძირტკბილა.

ბაღოსნობა და მებოსტნეობა: ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ქლიავი, თხილი და სხვა საბაღოსნო და საბოსტნო ნაწარმოები, რომელიც გაუფუჭებლად შეიძლება გაიგზავნოს.

კონსერვები: მურაბა, საზამთროდ შენახული ბოსტნეული.

ჩირად და ჩამიჩად შენახული ხილეული: ტყლაპი, თათარა.

ლორად და შაშხად შენახული ხორცეული: შინ აზრდილი ფრინველი, ღორის ხორცი, თევზი, ნანადირევი და სხვა.

მეღვინეობა: ღვინო სხვა და სხვა ჯურისა და ღირსებისა.

მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა: აბრეშუმი, თაფლი, წმინდა სანთელი.

მეტყეობა: კაკალი, თხილი, მუხა, წიფელი, ქორაფი (ნეკერჩხალი); იფნი, შინდი, თელა, ღვია, ბზა, ვევის ხე (სალსალაჯი), ურთხელი და სხვა.

ხელოსნობა და შინაღ მრეწველობა: დანა, თიხისა და ქაშანურის ჭურჭელი, იარაღი, საოქრო-მჭედლო ნივთები, მაუდეული, შალეული, თაიკთიკი, თავსახვევები, ხალიჩა ფარდაგები, ნაბდები, ქეჩები და ქუდები, აბრეშუმის ქსოვილები.

მადნეული: ნავთი, გუდრონი, ასფალტი, კირი, გლაუბერის მარილი, ქვა-ნახშირი, ანტრაციტი, კიშერი, სათი, რკინა, სპილენძი, თუთია, ტყვია, ვერცხლი, ოქრო, ქვა-გუნდა, კობალტი, ვერცხლის წყალი, გოგირდი, ქვის მარილი, ლიტოგრაფიის ქვა, მარმარილო, ინფუზორიის მიწა, ცის ნატეხი (ოფსიდიანი).

მატყლეულ-ტყავეულობა და ნაწარმოები წველა-დღვებისა: მატყლი სხვა და სხვა ჯურისა და ღირსებისა, ტყავი, რქა, ყველი სხვა და სხვა გვარისა, ერბო და კარაქი.

ამ მოწვევის აზრი ის არის, რომ ვინც ჩვენ მემამულეთაგანი ისურვებს მიიღოს მონაწილეობა ზემოხსენებულ პარიზის გამოფენაში, საჩქაროდ გამოგზავნოს კომიტეტში ნიმუშები თავიანთის მამულების ნაწარმოებთა, როგორც მაგ. მატყლი (ათი ანუ მეტი გირ. გარეც.); სიმინდი (ტარო და მარცვალი ათი გირ.), თამბაქო (ათი გირ.), აბრეშუმი (პარკებად და ძაფად); და სხვა ნიმუშები სხვა და სხვა ხეებისა ($^3/_4$ არშ.) ერთი პირი ქერქითა და მეორე გასუფთავებული, მადნები: თითბერი, შავი-ქვა და სხ. ამა ყველას უნდა ჰქონდეს ზედ დართული საჭირო ცნობები: რომელ გუბერნიასა, მაზრასა და სოფელშია; რამდენი ფუთი მოჰყავს წელიწადში, რამდენი დესეტინაა მიწა, ტყე და სხვა მადნეულობის ადგილებია და სხვა.

კომიტეტში უნდა გამოიგზავნოს აგრეთვე სხვა და სხვა ნაქსოვები მატყლისა და აბრეშუმისა; როგორც შალები (ლეკურის მსგავსი, საჩოხეები); ფარჩები და სხვა აბრეშუმის ნაქსოვები; ხალიჩები და ფარდაგები; ხალები, დანები და სხვა და სხვა იარაღი ნამდვილის ქართულ ხელობისა, სხვა და სხვა ოქრო-მჭედლობის ნივთები. ყოველსავე ამას კომიტეტი ჩაიბარებს და პატრონებს ზარალს მისცემს. ვინც კი მოინდომებს გაყიდვას, იმას ფული მთლად ჩაბარდება გაყიდვის შემდეგ. ყველა ესე თავიანთი ცნობებით, აწერით უნდა გამოიგზავნოს კომიტეტში შემდეგის ადრესით:

1900 წლის პარიზის გამოფენის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა კომიტეტში, თბილისი, სასახლის ქუჩა, სათ.-აზნაურო სახლი, ზემო სართული, № 116.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ბათუმი**. კვირას, 24 ოქტომბერს, ბათუმის ქართველმა საზოგადოებამ პანაშვიდი გარდაიხადა დაუვიწყარის დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად.

## ახალი ამბავი

⁂ საქართველოს ექსარხოსს, არქიეპისკოპოსს ფლაბიანეს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის მთავარმართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას დამატებითი კრედიტი როგორც საექსარხოსოში ახლად დაარსებულ, ისე უკვე არსებულ სამრევლო სკოლებში მეურნეობის სწავლების შემოსაღებად.

⁂ დღეს, 26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება კახეთის მევენახეთა სხდომა. სხდომა განიხილავს კახეთის მევენახეთა იმ კრების საქმეს, რომელიც ნოემბრისათვის არის დანიშნული ქ. თელავში.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ცნობილი ქართველი პოეტი ქალი კნ. ნ. ს. ორბელიანისა, რომელიც ამ ჟამად მარტოდ-მარტო თურმე სცხოვრობს „ბოიარის ნომრებში“, 23 ოქტომბერს ავად გამხდარა და ლოგინად ჩავარდნილა გაციების გამო. ავად-მყოფს მომვლელი და ყურისმგდებელი არავინ ჰყავს თურმე.

⁂ ქუთაისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს ქალაქის შუამდგომლობა, რომ დამტკიცებულ იქმნას ინჟ. მიხაილოვის მიერ შემუშავებული პროექტი ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გამართვის შესახებ. ქალაქის მოურავი ატყობინებს გუბერნატორს, რომ ქალაქის საბჭოს საჭიროდ მიაჩნია ქუთაისში ელექტრონის ტრამვაის გაყვანა და თხოულობს, რომ ხსენებული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინოს განსახილველადაო.

⁂ ქუთაისიდგან იწერებიან, რომ იქ ამ ჟამად სწარმოებს ქალაქის თვით-მმართველობის საქმეთა რევიზია, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს საბჭოს წევრის ბ-ნის ლუკიანენკოს ზედამხედველობით.

⁂ რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებას, ვიდრე ბაქოს განყოფილების შუამდგომლობას განიხილავდეს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, აზრის გამოთქმა მოუთხოვნია ტფილისის განყოფილებისაგან ამ საგნის შესახებ.

⁂ 24 ოქტომბერს მოხდა ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მე-3 ხარისხის მსესხებელთა კრება, რომელზედაც დახურულ კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ მე-3 ხარისხის რწმუნებულნი, რიცხვით 24. ამ სახით დამთავრდა ბანკის ყველა 72 რწმუნებულის არჩევნები.

---

მიხვედრა!.. სიტყვას ყოველთვის ვაწყვეტინებ, პირში ვებმი, ვეჩხუბები... ყოველის ღონისძიებითა ვცდილობ წავეკინკლავო, მაგრამ არ ამდევს!.. რაც არ ესიამოვნება, სულ იმას ვეუბნები!.. მე მგონია, რომ საკმაოდ დავუმტკიცე ჩემი წყალობა, ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან!..

ბარბარე. სულ აღარ შეგიძლიან!.. მე-კი მგონია, რომ მაინც მიხვედრილი არ არის... კაცებს ზოგიერთი რამ ისე არ ესმით, როგორც ჩვენ...

ლილი. მაშ კაცები სულ სულელები ყოფილან!...

ბარბარე. რასაკვირველია, სულელები არიან, საშინელი სულელები!.. მაგრამ ეს ყოველთვის იმათი ბრალი არ არის და ამიტომ უნდა ავიტანოთ და მოვუთმინოთ... ესეც არ იყოს, სესილი ძალიან ღარიბია...

ლილი. ეგ აქ რა მოსატანია მერე?. თუ იმას ელის, რომ... რა გგონია, დიდხანსმოუნდება ლოდინი?..

ბარბარე. არა მგონია, რომ ძალიან დიდხანს მოუნდეს... სესილი გონიერია, ჭკვიანი და...

ლილი. (გააწყვეტინებს). ახ, რა ჭკვიანია!.. და რა ლამაზი... ლამაზია, არა?.. უეჭველად ჩქარა გამდიდრდები... ამ ერთს წელიწადს მოასწრებს გამდიდრებას?..

ბარბარე. არა მგონია!.. ძალიან ჭკვიანი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს წელიწადში გამდიდრდეს?..

ლილი. ორს წელიწადში?

ბარბარე. რა გითხრა... ეგ დამოკიდებულია...

ლილი. (შეაწყვეტინებს). ახ, ნეტა მე ვიყო მდიდარი!.. ეს უფრო უკეთესი იქნებოდა!..

ბარბარე. გეტყობა, კარგად არ იცნობ სესილს, თუ აგრე სჯი... დარწმუნებული ვარ, რომ, რაც უნდა უყვარდეს, არასოდეს არ შეირთავს შეძლებულს ქალს, თუ თითონაც ქონება არა გააჩნია-რა... ძალიან თავ-მომწონეა, მეტად თავ-მომწონე... სიმშილით სიკვდილს ირჩევს და საუკეთესო მეგობარს-კი სესხისათვის ხელს არ გაუწვდის.

ლილი. ეგ მომწონს!.. ჩემის აზრით, კარგად იქცევა და მართალიც არის...

ბარბარე. რასაკვირველია! სესილი ყოველთვის მართალია. ან ვინ იქნება ისეთი უგუნური, რომ შენთან გაჰბედოს და გადაკვრით მაინც არის განაცხადოს, რომ შეიძლება სესილი მართალი არ იყოსო?!.

ლილი. არ მესმის, რად დამცინი? იმის შესახებ შენც ხომ ჩემის აზრისა ხარ... ყოველთვის აქებ და ამკობ, მერე ისე, რომ ეჭვი მებადება, შენ თითონ ხომ არ გიყვარს!

ბარბარე. გამოგიტყდები, ძალიან მომწონს...

ლილი. ახ, ბაბო...

ბარბარე. ახ, ლილი! რატომ კარგად არ ადევნებ თვალ-ყურს?.. რატომ ქილაში არ ჩასდებ წნილად?.. რად აძლევ ნებას თავისუფლად სიარულისას, რომლის დროსაც ყველას შეუძლიან მისი ნახვა?..

ლილი. არა, ჰხუმრობ, ბაბო?.. არ გიყვარს?..

ბარბარე. მიყვარს და ძალიანაც მიყვარს! (უხუმრელად) არ დაივიწყო, რომ იგი ჩემი მცველი ანგელოზი იყო, კეთილი სული მთელის ჩემის ცხოვრებისა... როდესაც მამა გარდამეცვალა და უილაჯო ბავშვი მარტოდ-მარტო დამტოვა ამ უშველებელს ქალაქში... (წამოდგება) ოჰ, ღმერთო, ამ საზარელ დროს გახსენებისაც-კი მეშინიან!.. (აღელვებული გაივლ გამოივლის, მერე ლილისთან მიკა, თავზედ აკოცებს და მხიარულად განაგრძობს ლაპარაკს). დამშვიდდი, ჩემო ტურფავ, ჩემო ეჭვიანო კატუნიავ, შეყვარებული არა ვარ... დიდი განსხვავებაა ამ ორს სიტყვას შორის — მიყვარს და შეყვარებული ვარ, სწორედ ისეთი, როგორიც „სმასა და დათრობას“ შორის! (საკერავს აიღებს ხელში) მიყვარს სესილი მეგობარსავით, ძმასავით, არა მეტად... (ტახტზედ ჩამოჯდება). ახ, ნეტა მართლაც ჩემი ძმა იყოს!.. ძალიან გულით მინდა, რომ ნათესავები მყავდეს ვინმე!.. ვისაც ნათესაობა ჰყავს, ის ამას არ აფასებს, და მე-კი არავის ნათესავი არა ვარ!. ამის გრძნობა სიმწარით ამავსებს ხოლმე!...

ლილი. (მიუახლოვდება და უკანიდგან ხელს მოჰხვევს). ბაბო, ჩემო ძვირფასო ბაბო, მაგას ნუ ამბობ... ხომ დამპირდი, დად გიგულებო... შეიძლება, რომ სესილი გახდეს... ესე იგი თუ... ერთის სიტყვით, თუ რომ... ის უნდა მეთქვა, რომ თუ მე... თუ ჩვენ... გესმის?.. ერთის სიტყვით, ისიც შენი ძმა იქნება, არა?..

ბარბარე (გაიცინებს და გადაჰკოცნის). მე მინდა, ნამდვილი ძმა მყავდეს, საკუთარი ძმა, რომ ჩემის სურვილისამებრ იქცეოდეს!..

ლილი. (გვერდით მოუჯდება) ნუ თუ არა გახსოვს-რა იმ დროისა, გემი რომ დაიღუპა?... ნათესაობა ხომ უნდა გყავდეს ვინმე... იქნება გაიხსენო რამე იმათ შესახებ.

ბარბარე. თითქმის არაფერი მახსოვს-რა!.. მაშინ სულ ოთხის წლისა ვიყავი და ის ცოტაოდენიც, რაც გონებაში ჩამრჩა, მეტად არეულ-აბნეულია და ნაწყვეტ-ნაგლეჯი... ერთი თუ ორი ადამიან იმაგონდება... ხანდახან თვალწინ წარმომიდგება ხოლმე იმათი სახე, როდესაც ჩავფიქრდები... სიბნელეში ყოველთვის შემომყურებენ ხოლმე... ერთი სახე დედიჩემისაა, ფერ-მკრთალი, დიდრონ ნაღვლიან თვალებიანი; მეორე ისე ნათლად არ მიდგას თვალ-წინ... მოხუცებული ადამიანია, მკაცრის სახისა, რაღაც შავშია გახვეული... ყოველთვის საიდგანღაც ზემოდგან დამყურებს ხოლმე... შემდეგ ეს სახე თანდათან მიახლოვდება და ვხედავ, რომ იგი ცრემლით არის მონამული... (კერვას განაგრძობს. სიჩუმეა).

ლილი. შენ შესახებ-კი არა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ინსპექტორი ფ. ტ. ბოლდანოვი.

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ თავისი მოსაზრება წარუდგინა ქალაქის გამგეობას იმ შუამდგომლობის შესახებ სამოსწავლო გამგეობის წინაშე, რომ ქალაქის პირველ-დაწყებითს სკოლებში მომატებულ იქმნას გაკვეთილების რიცხვი.

*** „სინ. ოტ.“-ს სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს შემოიღოს ვენახების საურთიერთო სავალდებულო დაზღვევა ფილოქსერისაგან.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრს ბ-ნს ზავაროვს ამ ჟამად მინდობილი აქვს ამიერ-კავკასიაში მოუსავლობით დაზარალებულ ადგილებისა და მოუსავლობით გამოწვეულ გაჭირვების გამორკვევა. როგორც ისმის, ბ-ნის ზავაროვისათვის შეუძლებელია ამ მინდობილების ასრულება, რადგან იგი მუდამ ტფილისში თურმე იმყოფება და არც კორესპოდენტები ჰყავს საჭირო ცნობების შესაკრებად.

*** ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოლაპარაკებია და შესთანხმებია ინჟენერს მიხაილოვს ქალაქის წყლის მილების გაყვანის საქმის შესახებ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს განსახილველად წარედგინა საყურადღებო საქმე დიმიტრი გლავაჩევსკისა და გლ. ივანე ბოკერიასი, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ პირველმა მათგანმა, როგორც საქონლის მატარებლის მემანქანემ, ხოლო მეორემ, როგორც გორის სადგურის მორიგმა აგენტმა, 1898 წ. 9 სექტემბერს სამსახურის ასრულების დროს დაუდევრობა გამოიჩინეს, რის გამოც საქონლის მატარებელი მუშა-მატარებელს დაეჯახა და ამ დროს მოკლულ იქმნა მუშა-მატარებელზედ მყოფი ქალი ბარბარე კოლესნიკოვისა.

X *** ს. მაშნაარი. ადგილობრივის მღვდლის გ. ღვინიაშვილის მეცადინეობით 17 ოქტომბერს წერა-კითხვის სამრევლო სკოლა დაარსდა და ამ დღეიდგანვე სწავლაც დაიწყო.

მაშნაარში და ქვემო მაჩხაანში ყვავილი გაჩნდა.

*** ამ ჟამად ქუთაისის სახაზინო პალატას უკვე გამოუანგარიშებია ქუთაისის გუბერნიის ქალაქების უძრავ ქონებათა 1899 წლის სახელმწიფო და საერო გარდასახადის რაოდენობა. ამ ანგარიშით ქ. ქუთაისში სახელმწიფო გარდასახადის რაოდენობა უდრის 15,600 მანეთს, საეროსი—9,867 მ. 50 კ., ქ. ბათუმში—32,166 მ. და 16,446 მ., ქ. ფოთში—4,400 მ. და 1,995 მან. 50 კაპ., ოზურგეთში—1,070 მ. და 756 მ. 50 კ., სოხუმში—6,981 მ. და 1,644 მ. 50 კ., ართვინში—1,961 მ. და 226 მ. 50 კ., რედუტ-კალეში—125 მ. და 70 მ. და ზუგდიდში—697 მ. და 493 მ. 50 კ., სულ სახელმწიფო გარდასახადი უდრის 63,000 მან., საერო-კი 31,500 მ.

*** კავკასიის სამეურნეო-სამოსწავლო გამოფენამ ამ დღეებში ნაწარმოების ნიმუშები მიიღო ქუთაისის სამეურნეო სკოლისაგან და საცხენისის პირველ დაწყებითის სასწავლებლისაგან.

*** სათანადო უწყებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ დაარსდეს საქარხნო ინსპექცია ყუბანის ოლქისა და შავი ზღვის პირის გუბერნიაში. ეს შუამდგომლობა გამოუწვევია შავი ზღვის პირის გუბერნიის ერთის ქარხნის მუშებსა და გამგეობას შუა ჩამოვარდნილ უსიამოვნებას.

*** რადგან ჩაქვაში ჩაის კარგად უვარგნია, ამის გამო საუფლისწულო უწყებას განზრახვა აქვს გააფართოვოს აქ ჩაის ყანები.

*** 24 ოქტომბრიდგან ყარსის რკინის გზაზედ მატარებელთა მიმოსვლის დრო-ჟამი ასე შეიცვალა: ტფილისიდგან მატარებელი გავა სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით ღამის 10 საათსა და 20 წუთზედ; ყარსიდგან მოვა ტფილისში დილის 7 საათ. და 30 წუთზედ.

## დიმიტრი ყიფიანის საფლავზედ ძეგლის კურთხევა.

კვირას, 24 ოქტომბერს, ქართველი საზოგადოება, როგორც იქმნა, ეღირსა დიმიტრი ყიფიანის საფლავზედ მამა დავითის ეკკლესიის გალავანში ძეგლის კურთხევას. ამ ამბავს აუარებელი ხალხი დაესწრო. მშვენიერი ამინდი იდგა და უთუოდ ამიტომ მამადავითის ეკკლესიაში ასვლა არავინ დაიზარა. სხვათა შორის კურთხევას დაესწრნენ მოხუცებული ქვრივი დიმიტრი ყიფიანისა და იმის ოჯახობის სხვა წევრნი; წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს ყოვლად სამღვდელოთ გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა და ალავერდის ეპისკოპოსმა კირიონმა ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ძეგლის წინ, რომელსაც შემდეგი გვირგვინები ამკობდა: ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისაგან, შემდეგის ზედ წარწერით: „სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელს დიმიტრი ყიფიანს“; ქ. შ. წერა კითხვის გამავრ. საზოგადოებისაგან—„განუსვენე, უფალო, სადაც მართალნი განისვენებენ, დიმიტრი ყიფიანს“; დრამატიულ საზოგადოებისაგან—„ქართ. დრამატ. საზოგ. დამფუძნებელ წევრის დიმიტრი ყიფიანის სახსოვრად“; განსვენებულის ოჯახისაგან; ქ. ტფილისისაგან: „Незабвенной памяти бывшаго Тифлисскаго гор. головы Д. Кипiани“, გაზ. „ივერიის“ რედაქციისაგან—„საუკუნო იყოს სახსენებელი შენი“; განჯაში მცხოვრებ ქართველთაგან — „დაუვიწყარ დიმიტრი ყიფიანს“ და გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად დაარსებულ უფასო წიგნთ-საცავისაგან:—

„ვინც თვისს მამულზედ მარად ჰფიქრობდა
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე
იყოს მაღალი და კურთხეული“.

ძეგლი გაკეთებულია მარმარილოსაგან. თვით ბიუსტი გამოკვეთილია თეთრის მარმარილოსაგან იტალიაში და მომზადებულია მხატვარის ფ. ი. ხოდოროვიჩის მოდელით. ძეგლი მშვენიერია და სახე ქანდაკებისა ძალიან ჰგავს დიმიტრი ყიფიანის სახეს. ქანდაკებას ქვეშ წარწერა აქვს რუსულად და ქართულად: „დ. ი. ყიფიანი 1814—1887 წ. 24 ოქტომბერი“.

სიტყვები წარმოსთქვეს მამა დ. მაჭარაშვილმა და სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ი. რატიშვილმა. პირველმა სიტყვა ეკკლესიაში წარმოსთქვა წირვის დროს, ხოლო მეორემ—ძეგლის წინ პანაშვიდის დროს. მოგვყავს აქვე მამა მაჭარაშვილის სიტყვა:

„მოიხსენიეთ წინამძღვარნი
თქვენი და ჰბაძევდით მათ“.

ყოვლად სახიერი, ქვეყნიერების გამგე და მზრუნველი ზეციერი მამა უფალი ღმერთი ჩვენი ქვეყნიერებას ან ამა თუ იმ კუთხეს ქვეყნისას ანუ რომელსამე ერს უვლინებს, თუ ხშირად არა, დრო გამოშვებით მაინც, ზეგარდმო მადლით ცხებულთ, რომელთა სიტყვა, საქმე და ღვაწლი ამხნევებს ჩაგრულთა და წამებულთა დღიურ ცხოვრების ჟარმით, და რომელნიც საზოგადოდ ხდებიან თვის მოძმეთა კეთილ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად და ქვეყნის წარმატებისა და კეთილ დღეობის საფუძვლად. მათში იხატება ეროვნული ნიჭი და კეთილნი თვისებანი, ისინი ჰქნიან თავისს მოღვაწეებითა და მოქმედებით ერის ბრწყინვალე ისტორიას. მრავალ-წამებული ჩვენი სამშობლო იმ თავითვე არ იყო მოკლებული ასეთს დიდ-ბუნებოვანს გვამებს, რომელნიც გაბედულად და თავგანწირვით ემსახურებოდნენ თავისს მამულს, იცავდნენ დროშას ქრისტეს სარწმუნოებისას და თვისის ეროვნებისას. თუ საქართველომ თვისი ღვიძლი მშობლიური ენა და მართლ-მადიდებელი სჯული დღემდის დაიცვა და თუ დღეს კიდევ ქართველი ქართველობს,—ეს შედეგია ამგვარ გვამთა მოღვაწეობისა, მათის თავგანწირულის და დაუდგრომელის შრომა-უნარისა. ამ ნაირი მადლიანი გვამნი ჩვენში ყოველს წოდებას მოუცია, გარნა დღეს აქ მოვიხსენიოთ ერთი ძვირფასი, ჩვენის მამულის წარჩინებული მოღვაწე და მოსიყვარულე, რომლის მოხსენებისა და პატივისცემის გამოცხადებისათვის შეკრებილა დღეს ეს წარჩინებულნი საქართველოს ძენი და ასულნი.

გამოვტყდები გულწრფელად და ვაღიარებ, რომ მე არ ძალმიძს განსვენებულის ჩვენის მამულიშვილის უკვდავის მოღვაწის დიმიტრი ივანეს ძის ღვაწლისა და კეთილ თვისებათა დახსურათება და აღწერა. ვიტყვი მხოლოდ, რომ იშვიათად დაიბადება იმგვარი თვისის სამშობლოს მოსიყვარულე და მშრომელი და გულითა და სულით მოწადინე თვისის მამულის წარმატებისა, როგორიც იყო განსვენებული. მართალია, სამშობლოს სიყვარული თანდაყოლილი ბუნებრივი კეთილ-შობილური გრძნობაა კაცისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად უმეტეს ნაწილს ეს საღმრთო გრძნობა უჩლუნგდება და ხან და ხან სრულიადაც ეხშობა, ცხოვრების ქარ-ცეცხლი, ღელვა და მრავალი სხვა დაბრკოლება ლუკმა პურის შოვნის გამო ბევრს სრულიად ავიწყებინებს ამ გრძნობას, და მხოლოდ კერძო ინტერესები-ღა ამოქმედებს. განსვენებულს დიმიტრი ივანეს ძეს კი ამ წმინდა გრძნობისათვის არ უღალატნია ახალგაზდობიდგან დაწყებული სამარის კარამდე. ყოველ მოქმედებაში, ყოველ ცხოვრების ასპარეზზე და სამსახურში, საზოგადო ყოფილა იგი თუ კერძო, განსვენებულს არსად არ შეულახავს ეს წმინდა გრძნობა. თავისს საკუთარი ინტერესი ყოველთვის უკან ჰქონდა დაყენებული და სულ იმასა სცდილობდა, ჩემის მოქმედებითა და საქციელით არ შევარცხვინო ქართველის კაცის სახელიო. ერთხელ მას რუსეთში სამსახურის დროს გუბერნიის უფროსმა შენიშვნა მისცა: უზრდელად მოპყრობიხარ საგუბერნიო მართველობის საბჭოს წევრსაო და სალამი არ მიგიციაო. მან უპასუხა, მე ქართველი გახლავართ: ყველაფერი შეგიძლიანთ მიაწეროთ ქართველს კაცს, მაგრამ უზრდელობას კი ვერ დასწამებთო.

თუმცა განსვენებულს დიდი და წარჩინებული თანამდებობანი ეჭირა სამსახურში: საქმე ძალიან ბევრი ჰქონდა, მაგრამ თავისს სამსახურშიაც მუყაითი აღმასრულებელი იყო თავისის მოვალეობისა, ასე რომ უფროსები ყოველთვის დიდი მადლიერნი იყვნენ მისი და მეგობრული განწყობილება ჰქონდა მასთან თვით მთავარმართებელსაც-კი, მაგრამ ამასთანავე განსვენებული დიდად თვალ-ყურს ადევნებდა ჩვენს საზოგადო ცხცვრებას და სცდილობდა მისს წინ სვლისათვის ხელი შეეწყო. ყოველი საზოგადო საქმე, რომელიც კი მაშინ დაიწყო, სულ განსვენებულის დიმიტრის თაოსნობით იყო: მისის წყალობით ქართულმა თეატრმა ფეხი აიდგა, მისის წყალობითა და შრომით ქართული ჟურნალი გამოდიოდა, მან მოამზადა მთელი რთული საქმე საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნისა, მან მისცა პირველი აზრი ფულის გადადებისა ბანკისთვის და კიდეც მოიყვანა სისრულეში ეს საქმე და სხვა და სხვა.

„ისე კარგად და ყოველგან იყო მაღალ საზოგადოებაში მიღებული განსვენებული, რომ ადვილად შეეძლო გართობილიყო და სრულიად დაევიწყებინა საზოგადო საქმეები თავის სამშობლოს კეთილ წარმატებისა და კეთილ დღეობისა, მაგრამ ვერაფერმა დროს გატარებამ და გართობამ ვერ დაავიწყებინა

---

გონდება-რა?

ბარბარე. ძალიან ცოტა!.. ხანდახან მეხსიერებაში რაღაცა ბუნდი სურათები გამიელვებს ხოლმე, უფრო სიზმრის მსგავსი... არა მახსოვს-რა კარგად იმ დრომდე, როდესაც მე და დედაჩემი რომელღაც ჰუჰყიანს, ხალხით სავსე მოედანზედ ერთად დავდიოდით... გარს სახლები და გემის ანძები გვეხვია... ამ დროისა ყველაფერი უკეთ მაგონდება... მახსოვს, რომ ამ ანძათა შორის დედაჩემს ხელით დავყავდი. ერთს მშვენიერს, მზიანს დღეს გემზედ ამოვყავით თავი და ზღვაში შევცურდით... თითქოს ეხლაც-კი თვალ-წინ მიდგა ეს გემი, მოხუცებული, წითელ-ლოყებიანი გემის უფროსი, რომელსაც დიდი, შავი შლიაპა ეხურა, და იმის გვერდით პაწია კატა, რომელსაც ხშირად ვეთამაშებოდი ხოლმე გემის ბაქანზედ... შემდეგ ქარიშხალი დაგვიდგა... ყოველ მხრიდგან აიმართა უშველებელი, აღქაფებული ზვირთები... გარშემო წივილ-კივილი და კვნესა გაისმოდა... ყველანი დამალვასა სცდილობდნენ... გემი კანკალებდა და ჭრიალებდა, ქარი საშინლად ჰქშუოდა... თითქოს ეხლაც-კი ყურს ჩამესმის მისი ქშუილი.. (ყურებზედ ხელებს მიიფარებს). საშინელება იყო!.. მახსოვს, დედაჩემმა რომ გულზედ მაგრად მიმიკრა და ჰლოცულობდა... რაღაცა დამტვრეულ ბოძებს მივაკრეს და ცივი ზვირთები წამ-და-უწუმ გვასველებდა... ვგრძნობდი, რომ დედაჩემი თანდათან მაგრა მიკრავდა გულზედ... შემდეგ... უცბად ყველაფერი დაბნელდა!.. როდესაც გონებაზედ მოვედი, გემის პაწია სენაკში ვიწექი და თავს დამყურებდა ის, ვინც იმ წუთიდგან ჩემი მამაც იყო, დედაც, ძმაცა და დაც, ყოველივე, და ვინც ეხლა ამ ქვეყნად აღარ არსებობს!..

ლილი. სხვა აღარა იცის-რა შენ შესახებ?

ბარბარე. აღარაფერი!..

ლილი. მერე, ის კაცი არა სცდილობდა შეეტყო შენი ვინაობა?..

ბარბარე. ცდა არ მოუკლია, რაც შეეძლო.. გაზეთებში აცხადებდა... აქა-იქ შუამავლებსაც მიჰმართა... იმათ ცოტა ფული არ შეაჭამა, მაგრამ მაინც ვერა შეუტყეს-რა...

ლილი. მერე, ეგეც რომ სცადა, თავი მიანება შენის ვინაობის ძიებას?

ბარბარე. მაშ რა ექნა?.. ხელთ არავითარი კვალი არა ჰქონდა-რა... მე არ ვიცოდი არც ჩემი სახელი და არც სახელი იმ ქალაქისა, რომელშიაც წინად მეცხოვრა... სულ უბრალო რამ ნიშანი რომ ჰქონოდა, იქნება მოეხერხებინა კიდეც რამე...

ლილი. ნუ თუ ზედ არა გიპოვნეს რა: ქაღალდი რამ, ან წერილი, როგორც მოთხრობებშია ხოლმე ჩვეულებრივ?..

ბარბარე. როგორ არა... დედა ჩემს ყელზედ მედალიონი ეკიდა თავისის სურათით... ამას გარდა, ბეჭედი იპოვნეს რაღაც წარწერითა და რიცხვის აღნიშვნით და კიდევ რამდენიმე წერილი... მაგრამ ამითი არ შეიძლებოდა ჩვენის ვინაობისა და საცხოვრებელ ბინის გამორკვევა...

ლილი. მესმის... მაშ სჩანს, რომ ვერასოდეს ვერ შეიტყობ შენს ვინაობას...

ბარბარე. ვერასოდეს, თუ შემთხვევას არას წავაწყდი... მაგრამ ძნელად, რომ ეს მოხდეს!.. რასაკვირველია, ყველაფერი მოხდება ხოლმე, მაგრამ მე-კი როგორღაც არა მჯერა!.. ჩემს მხსნელს ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს შეიტყობო... დაწვრილებით ასწერა, როგორც ვეპოვნე და რაც იცოდა ჩემს შესახებ, დაჰკეცა სხვა-და-სხვათაგან ჩემ გამო მიღებულ წერილებთან და მედალიონთან და ბეჭედთან ერთად ყუთში ჩასდო... საბრალო, საუცხოვო მოხუცი იყო!.. მახსოვს, რა დიდის ზრუნვით ჩაალაგა ეს ნივთები, დაჰკეტა ყუთი, გასაღები მომცა და მითხრა: „ეს გასაღები შენის ცხოვრების გასაღებიაო... მოვა დრო და იგი გაგიღებს კარებს შენის ნათესავებისას და მეგობრებისასაო“...

ლილი. ის ნივთები ეხლა სულ შენა გაქვს!..

ბარბარე. ჰო, აი, იმ ყუთში აწყვია... მას შემდეგ, რაც იმან იქ ჩაჰკეტა, ხელი არავის უხლია...

ლილი. ნუ თუ არასოდეს ამოგიღია შესახედავად მაინც?..

ბარბარე რად მინდოდა?.. გული უნდა გამეშფოთებინა, სხვა სიკეთეს ხომ არას დამაყრიდა?.. არა, არასოდეს არ ამომიღია, რაც ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა ჩააწყო ამ ცხრა წლის წინად..

ლილი. ნუ-თუ არც არასოდეს გააღებ მაგ ყუთს?...

ბარბარე. არ ვიცი... შეიძლება არასოდეს და იქნება მაგის დროც დადგეს, როგორც არაკში ამბობენ ხოლმე...

ლილი. მთელი შენი ამბავი მართლაც არაკსა ჰგავს... უეჭველია ბატონიშვილი აღმოჩნდები, და მეფე, მამაშენი, ოთხ ცხენიან ოქროს ეტლით მოვა და თავისს მშვენიერს ქალიშვილს წაგიყვანს... შემოგეხვევიან შენი ძმები, მეფის ძენი, და შენი დაბრუნება ესიამოვნებათ... შემდეგ გამოჩნდება მეორე მეფის ძე, მშვენიერი ვაჟკაცი, შეგიყვარებს მზეთუნახავს, მუხლთმოიდრეკს შენს წინაშე, შემოგფიცავს, რომ სიცოცხლეს შემოგწირავო, მოჰკლავს ბოროტს ჯადოქარს, რომელმაც გემი დაჰლუპა... ჰო, მართლა, იმ გემს სახელად რა ერქვა?..

ბარბარე. რომელს?.. დაღუპულსა, თუ...

ლილი. დაღუპულს... არ გახსოვს?..

ბარბარე. მახსოვს... მისი სახელი ერთ იმ ბოძთაგანზედ ეწერა, რომელზედაც ჩვენ ვიყავით მიკრულნი... იმას ერქვა...

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება)

ზრუნვა თავისს სამშობლოს კეთილ დღეობისათვის. ერთის სიტყვით, განსვენებულს ახალგაზდობიდგან ღრმა მოხუცებამდე და ღრმა მოხუცებიდგან სამარის კარამდე შრომა და მამულისათვის თავ-დადება არ დაუზოგია. ჭეშმარიტად სამაგალითო სიყვარული ჰქონდა განსვენებულს სამშობლოსი, რომელიც არა მხოლოდ სიტყვით გაიძახოდა, არამედ ყოველ თვისის მოქმედებითა და მოღვაწეობით ამტკიცებდა. უკვდავია ჭეშმარიტად ამ ნაირი ერთგული და თავდადებული მამულის შვილი თვისის ქვეყნისათვის. მისთა უმცროს მოძმეთა მისდა მიმართ ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად აღუგეს მას ხელთ ქმნილი ძეგლი, რომელიც მარად უნდა გვაგონებდეს იმისს სამშობლოსათვის გაწეულს დაუვიწყარს ღვაწლსა და სამსახურს. მაგრამ უფრო სანეტარო და სასიამოვნო იქნება მისს ნეტარ სულისთვის, თუ ჩვენ—მისს უმცროს მოძმეთ და შვილთ გულში გვექმნება ჩანერგული და მარად გვეხსომება მისი სამაგალითო სიყვარული და ღვაწლი სამშობლოს წინაშე და იმას საქმით მივბაძავთ. ეს ბევრად უკეთესი სახსოვარი იქნება, სასიამოვნო მისის სულისა და სასარგებლო ჩვენის ქვეყნისათვის.

ზეციერო მამაო, განუსვენე მისს მაშვრალს სულს მართალთა თანა და ჩვენ მოგვეც ძალი, სიმტკიცე, სიმხნე და წარმატება სიკეთესა შინა.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ყოველ დღე ინგლისელების დამარცხების ამბავი მოდის. რაც დღე მიდის, ბურები თანდათან უფრო იმარჯვებენ და დიდს გაჭირვებაში ჩააგდეს მოწინაამდეგე მხარე. სანამ ინგლისის ახალი ჯარი მივიდოდეს ბრძოლის ველზე, ვინ იცის, იქნება ბურებმა სულ ერთიან გაანადგურონ ბრიტანიის სამხედრო ძალა სამხრეთ აფრიკაში და საუკეთესო სიმაგრეები ნატალისა და კაპისა ხელში ჩაიგდონ. მაშინ ადვილი შესაძლებელია, სხვა სახელმწიფოები ჩაერიონ საქმეში და მებრძოლთა შორის მშვიდობიანობა ჩამოაგდონ. თუ ეს ასე მოხდა, იმ შემთხვევაში განუხორციელდებათ სურვილი ბურების საუკეთესო მამულიშვილებს, რომელნიც მუდამ იმას ოცნებობდნენ, რომ სამხრეთ აფრიკაში დააარსონ შეერთებული შტატები ჩრდილო ამერიკელების მსგავსად.

მართლაც საოცარია ბურების სიმამაცე და სამხედრო ტაქტიკა: მაჯუბასთან ომის დროს ინგლისელებმა დაჰკარგეს 270 კაცი, 8 ოქტომბრიდგანკი ვიდრე 18 მდე გლენკესთან, ელანდსლააგტესთან, რიედფონტეინთან და ლედისმიტთან 700 კაცზედ მეტი დაუხოცა მტერმა და 2000 ტყვედ წაიყვანა. ამ რიცხვში არ შედის მეთვრამეტე გუსარის პოლკის ერთი რაზმი, რომელიც მტერს ჩაუვარდა ხელში, არტილერია, თოფები, ყუმბარები, პატრონები, სურსათი და სხ. ამას ისიც უნდა მიემატოს, რომ, როგორც ინგლისიდგანვე იუწყებიან, სადღაც უგზოუკვლოდ დაიკარგა ორი ტრანსპორტი, რომელთაც ინგლისელების არტილერია და ყუმბარები მიჰქონდა დურბანში. ამბობენ, რომ როცა ეს საომარი იარაღი და მასალა გადასცალეს დურბანში, ბურებმა მოიტაცეს ისო. მაგრამ ყველაფერზედ დიდი უბედურება ის არის, რომ გენერალი უაიტი მთელი თავისი ჯარით ლედი-სმიტშია გამომწყვდეული და დღეს თუ ხვალ იქნებ მტერს ჩაუვარდეს ხელში. ბურები შემოერტყნენ ამ ქალაქს აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრით, ხოლო უკანასკნელად მოსულ ცნობებით—სამხრეთიდგანაც. ახლა თუ გაიმარჯვეს ბურებმა, ინგლისს თითქმის სრულებით აღარ დაურჩება ნატალში იმოდენა ჯარი, რომ მტერი რამოდენიმედ შეიკავოს. რაც შეეხება მეფეკინგს, რომელსაც დიდი ხანია გარს ახვევია პოლკოვნიკის კრონიეს ჯარი, და საიდგანაც ამ დღეებში ამბავი მოვიდა, რომ ცეცხლის ალშია გახვეულიო, არავინ იცის, რა მოუვიდა ამ ქალაქს—ჯერ კიდევ გამაგრებული არიან იქ ინგლისელები, თუ დაინარჩუნა მტერმა.

## დამჯერი

ღმერთები ჰლოცვენ კარგ კაცსა და ჩია კაცს-კი არ აკურთხებენ.

ქსენოფონტე

* * *

თუ გინდათ ღედაკაცმა ყოველივე ცოდვა შეგინდოთ, ცოლად შეირთეთ.

Z,

* * *

წარსული ნაღველს მგვრის, აწმყო—მწუხარებას და მომავალი—უიმედობას, სამივე ერთად-კი—არარაობას.

ბ. დ—შვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ ინჟენერს, გვარად მაგრელენს გამოუგონია მეტად მოხერხებული მატარებელი, რომელიც ზღვაშიაც დაცურავს თურმე და ხმელეთზედაც თავისუფლად დადის. დანიის სატახტო ქალაქ კოპენგაგენის მახლობლად ორი პატარა ტბაა, დაშორებული ერთი ერთ-მანეთზედ მხოლოდ 300 მეტრით. ტბების ნაპირებზედ მშვენიერი აგარაკებია გამართული. მიმოსვლის გასაკეთებლად და გასაადვილებლად აგარაკის პატრონებმა მოიწადინეს არხის გათხრა და ამ ორის ტბის შეერთება. მაგრამ როდესაც გამოიანგარიშეს, აღმოჩნდა რომ არხის გათხრას მეტად დიდი ხარჯი დასჭირდება. აი სწორედ ამ ხარჯის თავიდგან ასაცილებლად, ინჟენერმა მაგრელენმა გამოიგონა ზემოხსენებული მატარებელი. მატარებელი ჩვეულებრივ ხომალდსა ჰგავს, სიგრძე 15 მეტრი აქვს, ხოლო სიგანე—4 მეტრი. მეტი აქვს მატარებელს მხოლოდ თვლები. ზღვაში გემისაგან ვერაფრით განირჩევა. ინჟენერმა მაგრელენმა ტბებს შუა ლიანდაგი გამართა. იმ ადგილას, სადაც ლიანდაგი ტბას უახლოვებს, პატარა არხია გამოყვანილი ტბიდგან და ლიანდაგი აქ არხის ქვეშაც არის გამართული. როდესაც გემი არხში შედის, თვლებით ლიანდაგზედ შედგება და ისე გაივლის არხს, ზემოთ მიწაზედ ამოვა და განაგრძობს გზას, როგორც ჩვეულებრივი მატარებელი. მეორე ტბასთან მიახლოვებისას ლიანდაგითვე არხში შევა და შემდეგ ზღვაში შესცურავს.

* * *

გაზ. „Петер. Вѣд.“-ი შემდეგს მეტად საკვირველ ამბავს იუწყება, რომელიც სოლიკამის მაზრის ერთ სოფელში მომხდარა. ერთს გლეხის სახლში, როდესაც სახლის პატრონები შინ არა ყოფილან, სამს ახალგაზრდა ამხანაგს ქალს, რომელთაგან ერთი 14 წლისა ძლივს იყო თურმე, სტუმრად მიუწვევიათ ახალგაზრდა კაცი. ვიდრე სტუმარი მოვიდოდა, ქალებს ბუხრის წინ პატარა ადგილზედ იატაკი აუხდიათ, ზედ ჭილობი გადაუფარებიათ, გარეშემო შემოსხდომიან და ცდა დაუწყიათ. ახალგაზრდა კაცი კარგი ნაცნობი ყოფილა ქალებისა და ამიტომ ყოველივე ეს სამასხაროდ ჩაუდენიათ, რადგანაც უნდოდათ სასაცილოდ აეგდოთ თურმე სტუმარი. როდესაც სტუმარი შესულა ოთახში და სალამი მიუცია ერთის ქალისთვის, ამ უკანასკნელს ოდნავ ხელი უკრავს და იატაკს ქვეშ ჩაუგდია. მაგრამ ჩავარდნის დროს სტუმარს თავი ქვაზე დაუკრავს და იქვე უეცრად გარდაცვლილა. ამ მოულოდნელ და უცაბედ მკვლელობის დასამალავად, ქალებს ფანჯრები დაუკეტნიათ, ბუხარში დიდი ცეცხლი დაუნთიათ და შემდეგ მიცვალებულის გვამიც შიგ შეუგდიათ. ცოტა ხანს შემდეგ სოფლელებს თვალი მოუკრავთ, რომ ბუხრიდგან არა ჩვეულებრივი კვამლი ამოდიოდა; კვამლი წითლად იყო თურმე შეღებილი. მოსულან სახლში, მაგრამ კარები დაკეტილი დახვედრიათ; როდესაც კაკუნზედ ხმა არავის ამოუღია, გაუტეხნიათ კარები და შიგ შესულან. გაკვირვებულ გლეხებს დაუნახავთ ძალზედ გახურებულ ბუხარში კაცის გვამი, რომელსაც ფეხები გარედ ჰქონია გამოყოფილი. მოშორებით ქალები ისხდნენ თურმე, მაგრამ სამივე ისე გარინდებული და გონება დაბნეული ყოფილა, რომ ვერც ერთისთვის ხმა ვერ ამოუღებინებიათ.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო: 1, „თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი“ ერთი წიგნი, გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია 10 პოემა, 26 წვრილი ლექსი და 17 პატარა მოთხრობა და სურათი ვაჟა ფშაველასი. ყველა ეს მოთხრობები, ლექსები და პოემები გაზეთებში და ჟურნალებში იყო უკვე დაბეჭდილი; ბევრი მათგანი ცალკე წიგნადაც გამოვიდა. წიგნი დიდია, შეიცავს თითქმის 500 გვერდს და ჰღირს ერთ მანეთად. გამოცემულია სუფთად და კარგ ქაღალდზედ.

2, „ნელლო და პატრაში“, მოთხრობა უიდისა, თარგმნილი ელ. წერეთლის, ხოლო გამოცემული „ჯეჯილის“ რედაქციის მიერ. წიგნი შეიცავს 52 გვერდს, სუფთად არის გამოცემული და ჰღირს ორ-შაურად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ოქტომბერი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. ლედი-სმიტიდგან იუწყებიან, რომ მშვიდობიანობააო. მოწინაამდეგე წყნარად არის. ინგლისის ჯარმა ლედი-სმიტის გარეშემო კარგი ადგილები დაიჭირა.

პიტერმარიცბურგიდგან იუწყებიან: „ლედი-სმიტში სიწყნარეა. ქალები და ბავშვები ღამე ქალაქიდგან გავიდნენ“.

„Gaulois“-ი იუწყება, რომ მანაკის პრინცმა 2000 ფრანკი გამოუგზავნა ფრანგის ქალებს, რომელთაც აზრადა აქვთ იოჰანესბურგში საავადმყოფო დააარსონო.

„intr.“-ი იუწყება, რომ ერთმა პორუჩიკმა სამსახურს თავი გაანება იმ აზრით, რომ ტრანსვაალში წავიდესო. ლეიდსმა ეს პორუჩიკი კავალერიის პოლკოვნიკად დანიშნა.

24 ოქტომბერი

**ლონდონი.** 23 ოქტომბერი. ახალშენთა სამინისტროს მიერ მიღებული დეპეშა იუწყება, რომ ინგლისის ჯარი კოლენზოდგან გავიდაო. ჯარმა ამ ქალაქის სამხრეთით მოიყარა თავიო.

**ბურგესდორპი.** 21 ოქტომბერს ბურების რაზმი ბეტულიასთან ორანჟეს მდინარეს გადავიდა.

25 ოქტომბერი

**ბერლინი.** იმპერატორმა გუშინ ინახულა დანი მოწყალებისანი და მკურნალები, რომელნიც ტრანსვაალში მიდიან დაჭრილთა მოსავლელად.

**კოლენზო.** 26 ოქტომბერი, ნაშუადღევის პირველი საათი. ბურებმა სროლა დაიწყეს ლედი-სმიტის წინაამდეგ სამხრეთით იმ ზარბაზნებიდგან, რომელიც დადგენილია კოლენზოსა და უაიტის ბანაკს შუა. ბურთა მიერ ყუმბარების სროლამ კოლენზოსაკენ არავითარი ანუ სრულიად უმნიშვნელო ზარალი არ მოიტანა.

**ლედი სმიტი.** დღეს, დილის 6 საათზედ, დაიწყო ზარბაზნებით ბრძოლა, რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილა. მტერს ინგლისის ბანაკისათვის არავითარი ზარალი არ მიუყენებია. კოლენზოს მხრიდგან ზარბაზნების ხმა მოისმის.

**კაპშტადტი.** ხმა დადის, რომ ბაზუტოსები აჯანყდნენ ბურების წინააღმდეგაო.

როგორც ლედი სმიტიდგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, ბურებს პროკლამაცია გამოუციათ, რომელშიაც აცხადებს, რომ ერთი ნაწილი ნატალისა ტუგელიდგან ჩრდილოეთით მდებარე, ორანჟეს რესპუბლიკას ეკუთვნისო.

**ლონდონი.** გაზეთებში შემდეგი დეპეშაა გამოქვეყნებული, რომელიც ლედი-სმიტიდგან არის მიღებული 21 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ: „დღეს მომხდარ ბრძოლის დროს ჩვენი ცხენოსან ჯარისა და თავის ნებით ჯარში გასულთა რაზმი თავს დაესხა ბურების ბანაკს. ინგლისის ყუმბარა დაეცა ბურების ზარბაზანსა და გახეთქა“.

გამოქვეყნებულია კაპშტადტიდგან 20 ოქტომბერს მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ წინა დღეს მტერი გადავიდა რკინის გზის ხიდს ნორვალსპონას ახლო და კოლსბერგი დაიპყრო ისე, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევიაო.

კოლენზოდგან 21 ოქტომბერს დილის 11 საათსა და 15 წუთს იუწყებიან, რომ მტერმა ყუმბარები დაუშინა კოლენზოსაო.

**პარიჟი.** „Rclair“-ს გაუგონია სარწმუნო წყაროდგან, რომ ტრანსვაალის მთავრობამ ნება დართო მსურველთ ზღვის მეკობრობა დაიწყოს ინგლისის წინააღმდეგ. ტრანსვაალის მთავრობას, სხვათა შორის, უკვე მისვლია ამის შესახებ რამდენიმე წინადადება შეერთებულ შტატებიდგან.

**ლონდონი.** გაზეთებს აუწყებენ ლედი-სმიტიდგან, რომ ხუთშაბათს, ნაშუადღევს, ბურები ბესტერსგილთან გაფანტულ იქმნენ და დიდად დაზარალდნენ. ბურების ბანაკი ინგლისელებმა დაიპყრეს.


# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნები:

თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი

ფასი 1 მან.

და

ქართული სახალხო სიმღერები,

ნოტებზედ გადმოღებული ი. გ. კარგარეთელის მიერ.

ფასი 50 კ.

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—25)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ქართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ევ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.

ვეფხვის ტყაოსანი სურათებით 30 კ.

ნიკოლოოზ ნიკოლაძე 20 კ.

გლეხი კაცის ისტორია 1, II, III და IV ნაწილი 2 მ. 40 კ.

კორიოლანოს შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა 30 კ.

ანტონიოს და კლეოპატრა, მისი თარგმანი 30.

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავი 1 მ.

თავადის ქალი ურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80 კ.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 25 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე